საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა აბუსერიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: თეა ლეონიძე თ. [signature]

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

გოჩა აბუსერიძის

შეფასების დასაბუთება

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1, 36^3, 36^4 მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განვახორციელე კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების ხუთი მახასიათებლის და კომპეტენტურობის შვიდი მახასიათებლის გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე: გოჩა აბუსერიძე - დაბადებული 1973 წლის 12 ოქტომბერი, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრთან გათანაბრებული თსუ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე, აქვს სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 21 წელი და 2 თვე, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 11 წელი.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების მახასიათებლის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატ გოჩა აბუსერიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, ჯარიმები გადახდილია დროულად. გოჩა აბუსერიძის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, გულწრფელობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი გოჩა აბუსერიძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი, მის მიერ განხილულ იქნა საქმეები, რომელიც მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის ობიექტურობის, სამართლიანობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების მიხედვით კანდიდატი გოჩა აბუსერიძე არ ყოფილა მხარედ ან დაზარალებულად წარმოდგენილი. მისი გარეგნული იერსახე, ქცევა, სრულად შეესაბამება მოსამართლის მაღალ თანამდებობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი ხარისხი და სხვა.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი გოჩა აბუსერიძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ 2012-2020 წლებში -აკ.წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იყო მოწვეული სპეციალისტი; 2017 წლიდან არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი (მიმართულება: ქალთა წინააღმდეგ ძალადობა და ოჯახში ძალადობა). აღნიშნული მეტყველებს კანდიდატის დადებით პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციაზე.

რეკომენდატორები გამოარჩევენ გოჩა აბუსერიძის შრომისმოყვარეობას, წესიერებას. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

5. **ფინანსური ვალდებულება:**

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატ გოჩა აბუსერიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და აქვს მიმდინარე სესხი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, კანდიდატს საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი ბინა ქ. თბილისში და საცხოვრებელი ბინა ქ. ბათუმში. დეკლარაციაში მითითებულია უძრავი ქონება (სახლი და მიწის ნაკვეთი სამტრედიაში), რომელიც არ იძებნება უძრავი ქონების რეესტრში. კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი გოჩა აბუსერიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის მახასიათებლის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან

გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;

გ) წერის უნარი - 20 ქულა;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;

ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი გოჩა აბუსერიძე სრულყოფილად ფლობს სამართლის ნორმებს. 2007 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, 2009 წელს იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. სამართლის ნორმების ცოდნის შეფასებისას ასევე გამოვყოფდი მის პრაქტიკულ გამოცდილებას. იგი მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ჯერ რაიონულ, შემდეგ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში. შესაბამისად იხილავდა არაერთგვაროვან საქმეებს, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მის ცოდნას სხვადასხვა სამართლებრივი ნორმებისა. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაში საპროცესო და მატერიალური ნორმები გამოყენებულია სწორად, განმარტებები გაკეთებულია სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე.

კანდიდატის მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა სტატიები: "სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით" და "პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში".

გასაუბრებისას გამოიკვეთა, მისი მხრიდან როგორც კონსტიტუციის ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ძირითად დებულებათა ცოდნა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გოჩა აბუსერიძის სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატს გააჩნია საკმაოდ მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილება, მისი გადაწყვეტილება გამოირჩევა დასაბუთებულობით. მიმაჩნია, რომ კანდიდატმა გასაუბრების დროს გასცა დასაბუთებული პასუხები. კანდიდატი დამაჯერებლად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გოჩა აბუსერიძის სამართლებრივ დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 19 ქულით.

3. წერის უნარი:

წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ, ვასკვნი, რომ აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, სასვენი ნიშნები, გამოყენებულია სწორად. გადაწყვეტილება სტრუქტურულად აგებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გოჩა აბუსერიძის წერის უნარს ვაფასებ 20 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას მხედველობაში მივიღე კანდიდატის გასაუბრება, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი აზრს გადმოსცემდა გასაგებად. კანდიდატს შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გოჩა აბუსერიძის ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 15 ქულით.

5. **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:**

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატი საქმის განხილვის საპროცესო ვადების იცავს ზედმიწევნით, რაც ადასტურებს მის პროდუქტიულობას და სისწრაფეს. 2017 წელს იგი დანიშნული იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ, შესაბამისად მას გააჩნია მენეჯერული უნარ-ჩვევები. რეკომენდატორები გამოთქვამენ პოზიციას კანდიდატის პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის, შრომისმოყვარეობის შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გოჩა აბუსერიძის პროფესიულ თვისებებს, მათ შორის, ქცევას სასამართლო დარბაზში ვაფასებ 15 ქულით.

6. **აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:**

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატი გოჩა აბუსერიძე არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენიგში, მათ შორის: ადამიანის უფლებათა დაცვა; ,,ადმინისტრაციულ სამართალში ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება"; ,,სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტები"; ,,სამოსამართლო ქცევა და ეთიკა"; საარჩევნო დავების გადაწყვეტა და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი პრაქტიკულ საქმიანობას უთავსებს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენას, რაც ხელს უწყობს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გოჩა აბუსერიძის აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 4 ქულით.

7. **პროფესიული აქტივობა:**

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის

დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი გოჩა აბუსერიძე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2017 წლიდან არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი.

არის ავტორი სტატიებისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ჟურნალებში ,,მართლმსაჯულება და კანონი"; ,,ადვოკატი" .სტატიები: ,,სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით"; ,,პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში".

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გოჩა აბუსერიძის პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 4 ქულით.

კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ გოჩა აბუსერიძეს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 95 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა აბუსერიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

გოჩა აბუსერიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის გოჩა აბუსერიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას,</u> კერძოდ: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე; - სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას; - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ; - საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას; - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურეობრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს ხუთი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ორი და 125-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული სამი სამართალდარღვევა. აღნიშნულთაგან ერთ შემთხვევაში

		კანდიდატს მიეცა გაფრთხილება, ხოლო ოთხ შემთხვევაში შეფარდებული ჯარიმები გადახდილია დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა სიზუსტითა და თანმიმდევრულობით ვალდებულებების შესრულებისას, წესიერებით, პიროვნული ერთგულებითა და პროფესიული პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გოჩა აბუსერიძე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ დახასიათებულია ობიექტურ, მიუკერძოებელ, და პიროვნულად მტკიცე ადამიანად. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ გოჩა აბუსერიძე პრინციპული, კვალიფიციური პროფესიონალია, შეუძლია დამოუკიდებლად პოზიციის ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიღება.

		გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის კარგად დაცვის უნარი. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი კორექტული, გაწონასწორებული და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას, გულახდილობას და ღიაობას. კანდიდატის ქცევას, როგორც სასამართლოს შენობაში, ასევე მის გარეთ პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. აღნიშნავენ, რომ გოჩა აბუსერიძე ნებისმიერ პირთან ურთიერთობისას ახერხებს იყოს თავდაჭერილი და მართოს საკუთარი ემოციები. გამოირჩევა კომუნიკაბელურობით და სიდინჯით. არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, გოჩა აბუსერიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ არ გამოსულა. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი

		სარგებლობს წესიერი, ერთგული, კორექტული პიროვნებისა და კვალიფიციური პროფესიონალის სახელით. რეკომენდატორები განსაკუთრებით აღნიშნავენ სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარს, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობასა და პიროვნულ სიმტკიცეს. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მედიაში დაიწერა შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის“ ურეკის ,,ტროტუარების“ საქმეების შესახებ. გაშუქდა გოჩა აბუსერიძის უვადოდ განწესება, მისი მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, გოჩა აბუსერიძეს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა ხუთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები (შეფარდებული ჯარიმები) გადახდილი აქვს კეთილსინდისიერად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი.

			შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ერთ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის სტატიების ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებასა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გოჩა აბუსერიძე ძალიან კარგად ფლობს საქართველოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საპროცესო და მატერიალური სამართლის თეორიულ საფუძვლებს. მას სწორად ესმის გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსი და დანიშნულება. წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში დასმული საკითხის გადაწყვეტისას მან იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკითაც. წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანდიდატს შესწევს უნარი სწორად მოიძიოს კონკრეტულ

			ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული მასალა, სწორად დასვას სამართლებრივი პრობლემა და სიღრმისეულად განიხილოს მისი გადაწყვეტის გზები. გააჩნია დასმული საკითხის ზუსტად წარმოჩენისა და საგნობრივი ანალიზის, თანმიმდევრული მსჯელობის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გამოტანის უნარი. წარმოდგენილი მასალის მიხედვით ნათელია, რომ კანდიდატი საფუძვლიანად იცნობს როგორც შიდასახელმწიფო, ასევე საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. გასაუბრების შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ სამართლის ფილოსოფიურ/თეორიულ საკითხებზე დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები, ჩემი აზრით იყო მოცულობითი და ძალიან საინტერესო. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პრინციპების და არსებითი უფლებების ბუნებასა და მათი განხორციელების წესთან დაკავშირებით კანდიდატის მსჯელობაზეც. კანდიდატის პასუხები იყო ამომწურავი ადამიანის უფლებათა განხორციელების ევროპულ და ამერიკულ რეგულაციებთან შედარებითი ანალიზისას. კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ ის ეცნობა ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, სრულყოფილად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებები, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში თეორიული ცოდნა და პრაქტიკაში მის გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს პოზიტიურად აქვს

			შეფასებული.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის სტატიების ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ გადაწყვეტილებასა და სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის ნაშრომებში მის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ლოგიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით თანმიმდევრულია, არგუმენტირებულია სრულფასოვნად და დასაბუთებულია კვალიფიციურად. გასაუბრებისას თვალსაჩინო გახდა, რომ კანდიდატს შეუძლია ცალკეულ სამართლებრივ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის არა მარტო სწორი შედარებითი და საგნობრივი ანალიზის გაკეთება, არამედ საფუძვლიანი დასკვნის გამოტანა. ჩემი აზრით, გოჩა აბუსერიძეს გააჩნია სამართლებრივი პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გოჩა აბუსერიძემ წარმოაჩინა დასაბუთებული, თანმიმდევრული მსჯელობის,

			ანალიტიკური აზროვნებისა და ლოგიკური მტკიცების უნარები. გოჩა აბუსერიძის 22 წლიანი პროფესიული გამოცდილება დაკავშირებულია სამართალდამცავ და სასამართლო სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე საქმიანობასთან. უნდა ითქვას, რომ 2012 წლის შემდეგ ის პარალელურად ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობასაც აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად, არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი (მიმართულება: ქალთა წინააღმდეგ ძალადობა და ოჯახში ძალადობა). გარდა ამისა, პერიოდულად აქვეყნებს სტატიებს იურიდიული პროფილის ჟურნალებში. სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს 2009 წლიდან და გააჩნია 12 წლიანი სამოსამართლო პრაქტიკა, მათ შორის 2013-2017 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე.
წერის უნარი	**18**	**20**	<u>წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ერთ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის სტატიების ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა შესრულებულია გამართული ქართულით და იკითხება ადვილად. წერილობითი მოსაზრებები ნათლად და გარკვევით არის ჩამოყალიბებული. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი სწორად

			გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. იურიდიული ტერმინოლოგია ბუნებრივად არის ჩართული საერთო ენობრივ კონტექსტში. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვს დახასიათებული როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს, ასევე რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, საკუთარ მოსაზრებას ლაკონიურად და საკმაოდ ცხადად გადმოსცემს. მისი მსჯელობა როგორც წესი თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართულია. მას შეუძლია დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ზეპირსიტყვიერად როგორც

			წესი გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად აქვს შეფასებული როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს, ასევე რეკომენდატორებს და გამოკითხულ პირებსაც.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს (2017 წლის პირველი ნოემბრიდან 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით), რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად: გოჩა აბუსერიძეს საანგარიშო 1029 დღეში დასრულებული აქვს 849 საქმე (დღეში საშუალოდ 0,8 საქმე), რაც მისი სამუშაო რეჟიმის დატვირთულობაზე მეტყველებს. ამ პირობებში კანდიდატს აქვს საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადის დაცვისა (99,6%) უმაღლესი და გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის (57%) საშუალო მაჩვენებელი. კანდიდატს აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის (92,2%) საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. ხელთარსებული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ გოჩა აბუსერიძე ძირითადად საქმიანობს ორგანიზებულად, გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა და მოწესრიგებული საქმიანი გარემო. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გოჩა აბუსერიძე

			პუნქტუალური და შრომისმოყვარეა, შეუძლია სტრესულ სიტუაციაში გამართული საქმიანობა. კანდიდატის პროფესიული თვისებები პოზიტიურად აქვს შეფასებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოსაც.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> გოჩა აბუსერიძის 2007 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. კანდიდატს წარმატებით აქვს დასრულებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული პროგრამა (2009წ.). გოჩა აბუსერიძე რეკომენდატორების მიერ დახასიათებულია თვითგანვითარებაზე ორიენტირებულ პროფესიონალად, რომელსაც მუდმივად აქვს ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწის და გაღრმავების ინტერესი. გოჩა აბუსერიძე ყოველთვის აქტიურად ეცნობა ახალ შიდასახელმწიფო და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო პრაქტიკას. მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად ახერხებს საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზებას.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის</u>

			<u>შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> კანდიდატი 2012 წლიდან სამოსამართლო პრაქტიკის პარალელურად ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას, ამასთან, ეწევა თეორიულ-მეცნიერულ აქტივობას, პერიოდულად აქვეყნებს სტატიებს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის პრობლემურ საკითხებზე სხვადასხვა იურიდიული პროფილის ჟურნალებში. გოჩა აბუსერიძე ბოლო წლების განმავლობაში პერიოდულად მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ შეხვედრებსა და სემინარებშიც (გავლილი აქვს 6 ტრენინგი, დაესწრო 1 სემინარსა და 1 საერთაშორისო კონფერენციას).
ქულათა ჯამი	93	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა აბუსერიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

თარიღი: 27.05.2021

გოჩა აბუსერიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის დადგენილი მახასიათებლები: **1. <u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, გოჩა აბუსერიძე არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისიწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მასზე დაკისრებულია მცირე - 10 და 20 ლარის ოდენობით ჯარიმები. დაკისრებული ჯარიმები კი კანდიდატს
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		გადახდილი აქვს დროულად. გოჩა აბუსერიძეს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. მიუთითებენ მის კეთლსინდისიერებაზე, შრომისმოყვარეობაზე, გულწრფელობასა და თავმდაბლობაზე. გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ კანდიდატის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს. **2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელს, პრინციპულს, მიუკერძოებელს და სამართლიანს. კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს

		არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. **3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, თავდაჭერილობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გოჩა აბუსერიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. დაზარალებულად, სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის თავდაჭერილი, გაწონასწორებული. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ დადებითად, გამოარჩევენ კანდიდატის ანალიტიკური აზროვნების კარგ უნარს, პასუხისმგებლობის

		გრძნობასა და კანონმდებლობის საფუძვლიან ცოდნას. კანდიდატი სხვადასხვა დროს ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას - კითხულობდა ლექციებს; მას გამოქვეყნებული აქვს სტატიები, მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრაში, რაც მის პიროვნულ რეპუტაციას დადებითად წარმოაჩენს. გოჩა აბუსერიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. კერძოდ, მედიაში დაიწერა შპს „ჯორჯიან მანგანეზის“, ურეკის „ტროტუარების“ საქმეების შესახებ. გაშუქდა გოჩა აბუსერიძის უვადოდ განწესება, მისი მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში. **5. <u>ფინანსური ვალდებულება</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, გოჩა აბუსერიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. იმავე ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის

			მიუკერძოებლობას.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**20**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ძალიან კარგად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრების მიმდინარეობისას გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის მაღალი დონე. ადმინისტრაციული სამართლის სფეროს მიკუთვნებული თითოეული საკითხი კანდიდატმა განიხილა კვალიფიციურად და ამომწურავად. გასაუბრებისას კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მან გამოავლინა სამართლის ყველა დარგის თანაბარი ცოდნა. ჩანს, რომ გოჩა აბუსერიძე

			აქტიურად ეცნობა როგორც ქვეყნის შიდა სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. გოჩა აბუსერიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართალი), იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით კანდიდატი კარგად, მკაფიოდ და თანმიმდევრულად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა საკითხზე. წარმოდგენილი დოკუმენტები არის დასაბუთებული. კარგად ჩანს, რომ მას საკითხი ესმის სიღრმისეულად და შეუძლია თავისუფლად, დამაჯერებლად მსჯელობა. დასაბუთების დროს იშველიებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტებსა და სამართლის მეცნიერების მოსაზრებებს. გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით მივიჩნევ, რომ კანდიდატს შეუძლია გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და არგუმენტირებული მსჯელობა განავითაროს ამ მიმართულებით. მიმაჩნია, რომ მას აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.
წერის უნარი	**19**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად

			გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი მსჯელობა არის რაციონალური, ლოგიკური და თანმიმდევრული.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარებს. მეტყველებს გამართულად და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პუნქტუალობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პუნქტუალური და ა.შ. საქმის განხილვის საპროცესო ვადებს კანდიდატი იცავს სათანადოდ (99,6%), საყურადღებოა მის მიერ განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი (57%). საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს დასრულებული აქვს დღეში საშუალოდ 1 საქმე. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა

			წარმოადგენს 92.2 %-ს. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი მხრიდან სამოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებასა და მხარეთა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**3**	**5**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გოჩა აბუსერიძე პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია.
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე. გოჩა აბუსერიძე ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.

			არის რამდენიმე სამართლებრივი სტატიის ავტორი. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი.
ქულათა ჯამი	**93**	**100**	

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

ხელმოწერა: თ. ონიანი

თარიღი: 27.05.2021